ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	„	9 „	50 „
10	„	8 „	75 „
9	„	8 „	— „
8	„	7 „	25 „
7	„	6 „	50 „
6	„	6 „	— „
5	„	5 „	50 „
4	„	4 „	75 „
3	„	3 „	50 „
2	„	2 „	75 „
1	„	1 „	50 „

ივერია

№ 155 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 155

ფლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ნუკვინისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ მკათათვიდან ფლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰლირს 6 მან.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰლირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ია ეკალაძისა,

(ავტორის სურათით).

ფასი ერთი მანეთი.

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის სასწავლებლის წიგნის მაღაზიიდან.

(15—10).

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. ბულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთა. 10—11 ს.

ა. ი. ბალარაჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. ბ. ბოკინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. შეშოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 12—1 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს,

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებია 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოკოლოვსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ჰ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოშა ჭხდებ ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გადართოვებულია ოცი კროატი.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

უ. ბ. ჩიკოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. ბ. ავეტისიანი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხრტყრგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბეჟელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ურისა და ცხვირის სტაკვრისა.

ს. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ყარაპეტიანი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლოვშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ლ ა ვ ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტოვცევი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ბ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზარგიშვილი.** 7—7 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არუთიუნიანი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაც», ოფერის ყვავილს გამართავს საექიმო გინეკოლოგიას ექიმის დანიშნულებით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირეკტორი სამკურნალოსი დოკტორი ძ. ბეჟელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. ფლ.

ქართველნი მკურნალნი:

გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ,—ეორდანგის ქუჩ., № 16, საკუთარი სახლი. სადამის 6—7 საათამდე.

ბ ე ჟ ე ლ ი შ ვ ი ლ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ელისაბედის ქუჩ. სახლი მიდოვისა. № 5

გ ა ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ,—ეოჩუბეის ქუჩ., № 19.

ვ ა ფ ა ძ ე ს პ ი რ ი დ ო ნ. ბეტერბურგის ქუჩ. საკუთარი სახლი.

მ ა რ ი ა მ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს ა ლ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა, მიხეიდის პროსპექტი, № 145.

დ ი ა ს ა მ ი ძ ე ალ ე ქ ს ა ნ დ რ ე ,—მიხეიდის პროსპექტი, სახლი დიდუბანოვისა, № 123.

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ ბიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ომის ამბები

დეკეშები და წერილები.

გაიჯოუთან ბრძოლა.—იაპონელების გეგმა.—კამიმურას ესკადრა.—წერილი ცნობები.—კარიკატურები.

გენერალ ოკუს ვრცელი მოხსენება გაუგზავნია თავის მთავრობისათვის გაიჯოუს ბრძოლის შესახებ და, სხვათა შორის, მიუწერია:

გაიჯოუსთან რუსებს 20,000 მეომარი ჰყავდათ და 20,000 მეომარიც იმის მიდამოებში. ზარბაზნები სიაოდაოს მაღლობზედ დაეყენებინა... 26 ივნისს, დილის 5 საათსა 20 წუთზედ, დავიჭირეთ ტასინტუნისა და ტარაოტუნის მაღლობები. 8 საათზედ მტერი თავის ადგილიდგან დავძარით, ხოლო ის თან მიდიოდა, თან ზარბაზანს გვესროდა. შუადღისას ჩვენ მისი ბანაკი დავიჭირეთ. ის ზარბაზანს გვესროდა კიკიშნო-იოროშიდგან, მაგრამ ნაშუადღევის 3 საათზედ მისი ზარბაზნები ჩავაჩუმეთ. ბრძოლაში დაიჭრა გენერალ-მაიორი კონძეში. (რ. ვ.).

—

ნიუ-ჯუანიდგან იწერებიან, იაპონელებმა გემებით მიიყვანეს თავის ჯარი გაიჯოუსთან და ხმელეთზედ გადასვეს. ეხლა ჯარი გაჩქარებით მოდის დაშიკაოსკენ, სადაც რუსები 40,000 ჩინელს განუწყვეტლივ ამუშავებენ და სანგრებს აკეთებენ. გენერალ ოკუს ლაშქარს 18 გემით სურსათი მოუვიდა, რომელიც ელენეს ყურეში გადიტანეს. (ნ. ვ.).

—

ფრანგული გაზეთი «ტანი» ამბობს, გაიჯოუს დაკარგვას ნიუ-ჯუანის დაკარგვა მოსდევს. ეხლა იაპონელების ჯარი ჩინელ გენერალ მაის ჯარს უმეზობლდება. ყველამ კარგად იცის, რა შედეგი ექმნება ამისთანა დამეზობლებას, და ამიტომ არამც თუ რუსეთი, არამედ მთელი ევროპა ბრიონიაც, მოუსვენრად თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს ამ მეზობლების მოქმედებასო. (მ. ვ.).

—

გაზეთ «ნ. ფრ. პრ.»-ის სამხედრო თანამშრომელი ამბობს: გენერალ კუროკის განზრახვა აქვს რუსეთის ჯარს ეხლავე გაუქლაავდეს, ვიდრე იაპონელთა რიცხვი რუსებისას სჯარბობსო. ამ განზრახვის ასრულებას გენერალი კუროკი ენერგიულად სცდილობს. უღელტეხილები რომ დაიჭირა, ახლა ეძებს შესაფერს ადგილს, საიდგანაც უფრო ადვილია იერიშის მიტანა რუსის მთავარ-ბანაკზედ. კუროკის ლაშქარი 120 კილომეტრზედ გაეშალა და რამდენსმე უღელტეხილზედ დაბანაკებულა, საიდგანაც ადვილად შეუძლიან, რუსის ლაშქარს შეეხიოს. როგორც ეტყობა, კუროკის განუზრახავს პირდაპირ მუკდენზედ გაილაშქროს. ეს განზრახვა რომ არ გამქღავნებულიყო, იაპონიის ჯარს უნდა სხვა და სხვა ადგილს ემოქმედნა და რუსის ჯარის მთავარ-სარდლის ყურადღება სხვა ადგილებისკენ მიეზიდნა. სწორედ ამ აზრით გაილაშქრა გენერალმა ოკუმ გაიჯოუზედ და დაიჭირა კიდეც ეს ადგილი. ეს ხომ დიდი გამარჯვებაა, მაგრამ გენერალ კუროკის ის უფრო გაახარებდა, რომ გენერალ ოკუს ლაშქარს დიდძალი რუსის ჯარი დაჰხვედროდა. გენერალ კუროკის, უეჭველია, ის უნდოდა, რომ გაიჯოუსთან რუსის ჯარი დიდხანს დაბანდებულიყო, ვიდრე გენერალი კუროკი თავის ლაშქრით მუკდენისაკენ არ წავიდოდა და რკინის გზის ლიანდაგს არ გადასჭრიდა ლიაოიანის ზემოდ. (ნოვ.).

—

ტოკიოდგან იწერებიან, იაპონელების მესამე ლაშქარმა მთა-ადგილი გადაიარა და ეხლა ვაკეზე გავიდა. აქედგან მდინარე ლიაოხეს ხეობას შეესევიო. პირველმა ლაშქარმა 100 მილის მანძილი გაიარა ტიურენჩენინდგან, მოდულინისა და დალინის უღელტეხილები დაიჭირა და 16 ივნისს ლიაოიანს მიატანა, საიდგანაც ლიაოიანსაცა და მუკდენსაც ემუქრებიო. მეორე ლაშქარმა 115 მილი განვლო ძინჯოუდგან, გაუჯოუ დაიჭირა და 26 ივნისს ვაკეზე გავიდა, რომელიც დაშიკაოდგან ინკოოუმდე არისო.

გენერალ კუროპატკინის სტრატეგიულ მოქმედების შესახებ იაპონიაში სხვა-დასხვა აზრი ტრიალებს. წინად ეგონნენ, გენერალი კუროპატკინი ნაპოლეონის გეგმას ადგია და იაპონელების ლაშქრების ცალკ-ცალკე დამარცხება უნდაო. ხოლო გაიჯოუმ დაამტკიცა, რომ გენ. კუროპატკინი სულაც არ აპირებდა გალაშქრებას და ის მხოლოდ ჯარის ეკან დაწევასა სცდილობდა. გაიჯოუდგან ჯერ დაჭირლები გაისტუმრა რკინის გზით, შემდეგ ქვეითა ჯარი მიაყოლა და ბოლოს არტილერია, რომელიც მტერს ახლო არ იკარებდა. აქედგანა სჩანს, გენერალ კუროპატკინს არამც თუ გალაშქრება არა ნდომებია, არამედ დახვედრაც ვერ გაუბედნია.

ამბობენ, გენერალი მიშჩენკო 30,000 მეომრით გენერალ კუროკის ლაშქრის მარჯვენა ფრთას მოუვლის და მდინარე იალუმდე დადგაო, ხოლო ეს მითქმა-მოთქმა უსაფუძვლოდ მიაჩნიათ. (ბ. ვ.).

—

სამხედრო მიმიმხილველნი ამბობენ, როგორც გენერალ სახაროვის დეპეშები ამტკიცებს, რუსების ჯარს დახელოვნებული ხელმძღვანელი ჰყავს. ამიტომ უკან დახევის დროს უკანა ჯარი მაშინვე სტოვებს თავის ბანაკს, როდესაც მტრის ძალას გამოარკვევს და სცდილობს ამასთანავე, დიდი ვნება არ მისცეს მტერმა. სამხედრო კრიტიკოსებს მოსწონთ გენერალ კუროპატკინის განკარგულება, რომ რუსის ჯარი ლიაოიანთან შეგროვდეს, რადგან გენერალ კუროკის ლაშქარი ერთსა და იმავე დროს ლიაოიანსაც ემუქრება და მუკდენსაც. (ნ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან იწერებიან: როგორც ეტყობა, იაპონელებს ისეთი განზრახვა უნდა ჰქონდეთო: დაშიკაოსა და ლიაოიანს შორის შემოიჭრეს მათი ჯარი, რომ გენერალ კუროპატკინის მომეტებული ძალა მთავარ ბანაკს ჩამოსჭრას, სახმრთიდგან ლიაოიანი აიღოს და გენერალ კუროპატკინის ლაშქარს ალყა შემოარტყას. იაპონელების მოძრაობას ძალიან აფერხებს იმათს ჯარში გავრცელებული დიზენტერია. ფინ ხუან-ჩენში ხოლოერა გაჩენილა. ჩვენს ჯარშიაც არის დიზენტერია, ხოლო მცირედ. მუკდენთან იაპონელებს ზმედარნი ხუნხუზების რაზმებს აგროვებენ და აწყობენ რკინის გზის გასაფუძვლად (რუს).

—

პორტ-არტურიდგან დაბრუნებულ იაპონელ ოფიცერთან ულაპარაკნი „ნაც. ციტ.“-ის კორესპონდენტს. ოფიცერს უთქვამს: თუმცა პორტ-არტური საუკეთესო ციხე-სიმაგრეა, ყოველ მხრიდგან მოუვალი, მაგრამ მაინც ავიღებთო. ჩვენ ვერ მოვიცდით, რომ ალყა-შემორტყმული ციხე უიარაღობისა და უსურსათობის გამო დავვნებდეს როდისმე. ჩვენ დრო ძვირად გვიღირს. პორტ-არტურის აღების შემდეგ ვლადივოსტოკიც უნდა მალე ავიღოთ, ვიდრე ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს მოვიდოდეს. (ბ. ვ.).

—

გაზეთ «დელი ქრონ.»-ის კორესპონდენტისთვის უთქვამს ერთს იაპონიის მინისტრთაგანს:

რასაც ევროპიელნი სწერენ ჩვენს გეგმისა და მოქმედების შესახებ, ზღვასა თუ ხმელეთზე, ჩვენს სიცილად არა გვყოფნის. იაპონიის განზრახვა, მერწმუნეთ, ისეთი საიდუმლოებაა, რომელსაც კერავინ მიჰხვდება. თქვენ შეგიძლიანთ, თუ გსურთ, დეპეშა გაგზავნოთ ევროპაში, ტოკიოს მთავრობამ დიდი ფული გადასდო კიდეც სახალხო დღესასწაულობისათვის პორტ-არტურის აღების გამოო. ეს ისეთივე სამართლე ანუ სიცრუე იქნება, როგორსაც თქვენნი გაზეთები აქამომდე ავრცელებენ. (რ. ვ.).

—

შანჰაიდგან «დელი ტელეგ.»-ს სწერენ: მოკრიეეთა მოძრაობა თანდათან ძლიერდება ბეჩილიის პროვინციაში. ჩინეთის მთავრობის მოქმედებას ევროპიელნი ეკვის თვალით უყურებენ. თუ რომ იმპერატორიცა ბეკინიდგან წავიდა, დიდი არეულობა მოხდებაო...

გენერალი კუროკი ავად არის, მაგრამ სარდლობას მაინც თავს არ ანებებს. (ბ. ვ.).

—

ევროპის გაზეთები იუწყებიან, როგორც უტყუარ ამბავს, რომ იაპონელების ესკადრაში პორტ-არტურთან 22 დიდი სამხედრო გემი, 281 დიდ ზარბაზნით, და 30 ნაღმოსანი. ამ ესკადრაში ორი ახალი გემი, რომელიც იაპონიას ჩილისაგან შეუძენია: საესკადრო ჯავშანი გემი 14 ძმიმე ზარბაზანით, ტ ჯავშნიანი კრეისერი 12 მსწრაფლ-მსროლელის ზარბაზანით. წინად ამ გემებს რქმევია «Capitano prat» და «Chakabuko», ეხლა-კი იაპონელებს, რასაკვირველია, გადაუნათლავთ. (ნ. ვ.).

—

ევროპიული გაზეთები ირწმუნებიან, იაპონიას 32 ნაღმოსანი შეუკეთონია სხვადასხვა ქარხნისათვის ინგლისშია. ნაღმოსანი დაშლილი აქმნება და იაპონიაში აიწყობენ. ზოგი ნაწილი გერმანიაში შეუკეთონიათ. ამ ნაღმოსნებს მალე გაგზავნიან სავაპრო გემებით, თუ აქამომდე გაგზავნილი არ არისო. (რ. ვ.).

—

ტიან-ძინიდგან იწერებიან, მარშალი ოიამა მანჯურიაშია და გენერალ კუროკის ლაშქრისკენ მიეშურებაო. (იქვე).

—

ბალტიის ფლოტისა და ნავთსადგურების უფროსმა კომისია დანიშნა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რად გვიანდება სამხედრო გემების შეკეთება და რა სამუშაო სად უფრო აღვილად შესრულდება. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან იუწყებიან, როდესაც ომი დაიწყო, ჩინეთის იმპერატორიცა დაეკითხა თავისს გენერლებს, შესაძლოა ჩინეთი იაპონიას მიემხროს, თუ არაო. გენერლებმა უარი განაცხადეს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის 1,200,000 გირვანქა სტერლინგი შეგროვეს პროვინციებში და ომისათვის გადასდეს. ეს თანხა ეხლაც პეკინში ინახება. (რ. ვ.).

—

ვლადივოსტოკის ესკადრამ რომ იაპონიის ზღვაზე ითარეშა და აღმირალ კამიმურამ მის წინააღმდეგ ვერა გაუწყო-რა, გაბრაზებულ იაპონელებს ოკროს-ფრად დავარაყებული საპატიო ხანჯალი მიურთმევიათ «ხარაკირისათვის». გაზეთი «ნ. ფრ. პრ.» სცდილობს ადმირალი კამიმურა გაამართლოს:

კამიმურას აბარია 8 ჯავშნიანი კრეისერი: «იზუმო», «ივატე», «იაკომო», «აზამა», «ტოკიდა», «აზუმა», «კასუგა», და «ნიშინი», 10 ნაღმის მმუსვრელი და ამდენივე ნაღმოსანი. „კასუგა“ და „ნიშინი“ დაზიანებულან და სიმონოსეკის ნავსადგურში გაუგზავნიათ შესაკეთებლად დანარჩენ გემებით ადმირალმა კამიმურამ უშველებელი ზღვა უნდა დაიცვას, რომელსაც 250,000 ოთხკუთხი მილის სივრცე აქვს, ანუ 1.000,000 ოთხ-კუთხი

კილომეტრი. როგორც უნდა გაშალოს თავისი ესკადრა, მაინც 400 ოთხ-კუთხ მილზე ვერ უფარაჯებს. 30 საათი დასჭირდება, რომ ზღვის მხოლოდ ცალ მხარეს აუაროს. ეს მხოლოდ მეოცდახუთედია ზღვისა. ამიტომ რუსის ესკადრას შეუძლიან შეუმჩნეველად იაროს იაპონიის ზღვაზე და სავაჭრო გემებსა სდიოსო. (ნოვ.)

—

ბრიუსელის გაზეთებსა სწერენ ჩემულპოდგან, ინგლისელი და ამერიკელი ვაჭრები იაპონელებს ეხმარებიანო:

1 თებერვლიდგან 1 მაისამდე ჩემულპოს მისულია 14 გემი, რომლებსაც მიუტანიათ ინგლისისა და ინდოეთის ნავსადგურებიდგან ბრინჯი, სურსათი, ზარბაზნები, თოფ-წამალი და რკინის გზის მასალა. ეს გემები მერე იაპონიას წასულან და იქიდგან ჯარი გადმოუყვანიათ. პირველი კორპუსი თითქმის სულ ინგლისელებმა გადმოიყვანეს.

ამერიკელები ეხლაც თავისას არ იშლიან. ეხლა ხან ერთი ამხანაგობა დაუარსებიათ, რომელსაც 2.500,000 დოლლარი ძარითადი თანხა აქვს და ქერს ეზიდება ამერიკიდგან მანჯურიაში. პირველი ქარავანი ივნისის ნახევარში უნდა გამოსულიყო სანფრანსისკოდგან.

ე კონტრაბანდა ცხადად მოაქვთო,— ამბობს „ნოვ. ვრ“.

—

«ამურსკი კრაინი» დაბეჭდილია: «ჩვენ არა ერთხელ შეგვინიშნავს, რომ გაიძვერაები ხალხის უბედურობითა სარგებლობენ თავის ჯიბის გასავსებად. იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგენი და მებრძოლნი ერთმანეთს ღირსეულის პატივისცემით ეპყრობიან, ცრუპატრიოტები განვითარებულ ხალხის ინსტინქტს ბაღს ადებენ. დეპეშამ გვაცნობა, რომ იაპონიაში საოხუნჯო სურათები გამოუციათ ადმირალ ალექსეევის შესახებ, ხოლო მთავრობას აღეკრძალა და მოესპო კიდეც. ჩვენში კი ამისთანა მთხუპნავი კაცთმოძულეობის ინსტინქტს განგებ აღვიძებენ, რომ ამით ჯიბე გაივსონ. მოსკოველი კარიკატურისტები სხვა-და-სხვა წარმოუდგენელ სურათებს იგონებენ იაპონელების დასამცირებლად. პატიოტ-ვაჭრები ამ საძაგლობას რუსეთის ყველა კუთხეში ავრცელებენ; დიდ ქუჩაზე, ბუტირკოვის მაღაზიაში ყველა ფანჯრები ჰკრავენ ამისთანა კარიკატურებით, რომელიც ხალხს მხეცურ ინსტინქტს ეღვიძებს პატრიოტ-პატრონის გასამდიდრებლად... სირცხვილია!» (ნოვ.).

ᲤᲘᲚᲘᲡ

—

*** სოფ. ქვიშხეთიდგან გვატყობინებენ, რომ კვირას, 4 ივლისს, იქ პანაშვიდი გადადუნდიათ, ადგილობრივის ინტელიგენციისა და მოაგარაკეთა თაოსნობით, ახლად გარდაცვალებულის ცნობილ რუს მწერლის ანტონ პავლეს ძის ჩეხოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის გადახდის შემდეგ განსვენებულის მეუღლისათვის ბადენვეილერში (გერმანია) სამძიმრის დეპეშა გაუგზავნიათ.

*** 25 ივლისს სად. გომში, გორის მემამულეთა სინდიკატის სადგომში, ქართულის სკენის მოყვარულნი ამირებენ წარმოდგენის გამართვას. განზრახვა აქვთ წარმოადგინონ 3. პროტოპოპოვის ცნობილი პიესა «ცხოვრების გარეშე».

*** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი და კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია უკვე გადავიდა კოჯორის საზაფხულოდ.

*** ხმოსანმა ა. ს. ფულაძემ სურვილი გამოუცხადა პოლიციის მე-10 ნაწილში სასანიტარო მზრუნველად ყოფნისა.

*** ალაზნის ხიდი, რომელიც შაქრიანის ბოლოში უნდა გაიმართოს მდ. ალაზანზედ, რუსეთიდგან უკვე მიიღეს ტფილისში, სრულიად დამზადებული. ამ დღეებში ამ ხიდს გადაიტანენ სოფ. შაქრიანის ბოლოში, სადაც შეუდგებიან მდ. ალაზანზედ იმის გამართვას. ჰფიქრობენ, რომ ოკტომბრის გასულისათვის მზად იქნება.

*** ტფ. გუბერნატორის წინადადების თანახმად, ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი სავალდებულო დადგენილება ტფილისის სახლების დანომრვის შესახებ, რომელიც ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა უკვე წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

*** „Куб. Областныя Вѣдомости“-ში დაბეჭდილია კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ამ წლის 31 მაისის ცირკულიარი ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა და ოლქის უფროსების მიმართ: თანახმად უმაღლესებულის სენატის მიმართ 1897 წლის სახელდებულ უმაღლესის ბრძანების მე-7 მუხლისა, კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა საკრიბოდ სცნა: 1) ტფილისის მცხოვრებს გიორგი ფილიას, 2) ბათუმის მცხოვრებს ლევან გოთოშიას, 3) ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოხატაურის მცხოვრ ალისტრო ბერძენიშვილს, 4) სოფ. ამაღლების მცხოვრებს სიდოვან კობიძეს, 5) დ. ხონის მცხოვრებს ალექსანდრე ჩხენკელს, 6) ოზურგეთის მაზრის სოფ. აცანის მცხოვრებს მირმიან ბენტერიშვილს, 7) ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას მცხოვრებს ზოსიმე ჯიბავას, 8) ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიდისთავის მცხოვრებს მიხეილ ლომთათიძეს, 9) ოზურგეთის მაზ. სოფ. ნიგოითის მცხოვრებს მათე გოგოლაძესა და 10) ტფილისის მაზრის სოფ. დიღმის მცხოვრებს გიორგი მარიამულს, როგორც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და მუშაობისათვის მავნე კაცთ, აღუკძალოს სამუდამად ამიერ-კავკასიაში ცხოვრება.

*** გამგეობა ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის დამზმარე საზოგადოებისა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს გაიფართოვოს ამ საზოგადოებამ თავისი მოქმედება და აგრედვე შემწეობა აღმოუჩინოს თავის გარდაცვლილ წევრთა ოჯახობას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს გამოარკვიოს, თუ რა ნება ეძლევა ტფილისში სახლის აღმშენებელთ, განსაკუთრებით კი იმათ, რომელნიც სახლს აშენებენ თოფფის-წამლის საწყობების ახლოს. ამიტომ გამგეობამ მიმართა ტფ. საინჟენერო დისტანციის უფროსს და სთხოვა ტფ. ტაბაკინოს, ამ ეამად სად და თოფფის-წამლის რომელ საწყობთან აშენებენ კერძო კაცნი სახლებს, რომდენ მანძილის სიშორეზედ უნდა აშენდეს ამნარ საწყობებიდან სახლები, ან რა მრობები უფრო საჭიროდ მიაჩნია საინჟენერო დისტანციას, რომ დაიცვან სახლის პატრნებმა შენობების აგების დროსაო.

*** რკინის გზის მმართველობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, ყოველ დდე მორწყოს ის ქუჩები, რომელიც რკინის გზის სამმართველოს მახლობლად იმყოფება, რადგანაც ეტლების მიმოსვლის გამო დიდი მტვერი დგება, რაიც ძლიერ ხელს უშლის სამმართველოში მოსამსახურეთ მეცადინეობის დროსაო. ქალაქის გამგეობამ ამის პასუხად შეუთვალა რკინის გზის სამმართველოს, რომ ეს ქუჩები ყოველ დდე ირწყვება, და თუ საკმაო არ არის დღეში ერთხელ მორწყვა, ეთოილ-ინებოს თვით რკინის გზათა სამმართველომ და გადახდოს საჭირო ფული, მით უფრო, რომ ქალაქს ამაზედ ისედაც საკმაო ფული ეხარჯება და ზედმეტის ხარჯის გადება არ შეუძლიანო.

*** ტფილისში არსებობს საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს დახმარება აღმოუჩინოს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ. რადგანაც ამ საზოგადოების გამგეობას ბოლოს დროს აუარებელი თხოვნა მისდის, რომ მან სესხის მიცემით ხელი მოუმართოს ხსენებულ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ, ამიტომ გამგეობას განუძარახავს იშუამდგომლოს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნას დამზმარებელი კასსა, საიდგანაც მთხოვნელთ მიეცემათ სესხად განსაზღვრულის ვადით.

*** ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებ ის დამზმარებელ ხაზოგადოების წევრთა დადგენილების თანახმად, ამ აზოგადოების ბიბლიოთეკა, რომელიც იმყოფება ქსენიას ქუჩაზედ, ყუნიკანოვის სახლში, ღიაა მსურველთათვის ყოველ სამშაბათობითა და პარასკეობით. ამ ეამად ამ ბიბლიოთეკაში არის 40 სხვა და სხვა წიგნი სატეხნიკო მეცნიერებისა.

*** სოფ. ახალპალდგან (ლეჩხუმის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ 29 ივნისს, მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის თ. ი. გელდოვანის თაოსნობით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ალმსონ თოფფურიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ თ. ი. გელდოვანმა აუხსნა დამსწრე საზოგადოებას განსვენებულის მოღვაწეობა. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

*** როგორც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ შემნახველ კასის ანგარიშიდანა სჩანს, გასულ ივნისის თვეში ამ კასაში შეუტანიათ 75,175 მან. და გაუტანიათ — 25,986 მ.; 1-ლ იანვრიდგან 1-ლ ივლისამდე სულ ამ კასაში შეუტანიათ 390,270 მან., ხოლო გაუტანიათ—166,625 მან.

*** 3 ივლისს, საღამოს, აღეკლსდრეს ბაღში უეცრად გარდაიცვალა სამსაურს გარეშე მყოფი ზოდბოლოკოგნეი გიორგი აივაზოვი.

*** გუშინ წინ, 4 ივლისს, კვირაცხოვლის ეკალესიის უკან, რკინის გზის ლიანდაგზედ, მატარებელმა მოასწრო ვიღაც მუშას, რომელიც ჩავარდა ვაგონებს ქვეშ და გასრისა. საბრალო მუშას მატარებელმა თავი და ცალი მკლავი მოჰკვეთა.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘ

—

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. 30 ივნისს ს. ტირძნაში მოჰხდა ერთი შემაძრწუნებელი კაცის-კვლა, რომელმაც აღელვა აქაური საზოგადოება დიდით პატარამდინ, ბაბურ-ჩეველად წოდებისა. ერთმა მოხუცებულმა ანაურამა—ალექსანდრე ეგაძემ, ხანჯლით, ორის დაკვრით, წუთი-სოფელს გამოსალამა გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფი, მოხუცი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი. როგორც ამბობენ, დილის რვა საათზე სულხანიშვილი გამოსულია თავის სახლიდან და მიმავალებულა თავის ნაცნობთან, რომელიც საგარაკოდ იდგა იქვე ახლო, სკოლაში. გზაში დასწეევია ალექსანდრე ეგაძე, რომელსაც, პატარა ხნის ლაპარაკის შემდეგ, იქვე მოუკლავს.

ეს ამბავი ელვასავით მოედო ჩვენს კუთხეს და ყოველ მხრიდან მთელი აქაური საზოგადოება გაეშურა ტირძნისასაკენ, რათა გამოეცხადებინათ განსვენებულის ცოლ-შვილისთვის თავისი მწუხარება და სამძიმარი.

ივანე სულხანიშვილი მთელ გორის მაზრაში ითვლებოდა ერთ საუკეთესო მეოჯახედ. მართალია, პატარაობითვე დიდი სწავლა-განათლება არ მიეღია, მაგრამ თავის შრომით და ბეჯითობით სცდილობდა სახოგადო საქმეებში არ ჩამორჩენოდა თვით სწავლულებსაც. ამ ოცდა თხუთმეტის—ორმოცის წლის წინად ჩვენს მაზრაში ის პირველი შეუდგა მეურნეობის გაუმჯობესობას, მოიტანა ახალი გუთანი, იარაღი, სალეწი მანქანა, გააშენა ახალი ხილის ბაღი, შეუდგა ფუტკრის მოშენებას ახალ სისტემაზედ, ერთის სიტყვით, ითვლებოდა ერთ წარჩინებულ მეურნეშუმაკად. მან მიიღო რამდენიმე ჯილდო თავის ნაწარმოებისათვის და საშეურნეო საზოგადოების მხრივ იყო გაგზავნილი ექსპონენტად ორ გამოფენაზედ: პეტერბურგსა და პარიზში. შემდეგ ამისა, მისი დიდი სურვილი იყო, რომ თავის სოფელში, ტირძნისში, დაეარსებინა სკოლა სამეურნეო განყოფილებით და ამგვარად ხალხში გაეგრცელებინა სამეურნეო ცოდნა. როგორც იყო, სძლია ბევრს დაბრკოლებას და ბოლოს. დაარსებინა ამგვარი სკოლა. შესწირა ამ სკოლას საკმაო მამული და ყოველს ღონიძიებით სცდილობდა რიგიანად დაეყენებინა საქმე. გარდა ამისა, განსვენებული სცდილობდა, სადაც ძველი გამოჩენილი ეკლესიები იყო, ნაგებ-ნაგებ-ნაგებ. არა ერთხელ გაუგონიათ მისი ტირილი.

მეექვსე წლის მეორე ნახევრიდან პატმარი შეუდგა ენების გულ-მოგდინდგ შესწავლას, აგრეთვე ფილოსოფიისა და ისტორიის. ისე ხარბად დაეწაფა მეცნიერებას, რომ ბანკირი ძლივს ასწრებდა მისთვის წიგნების გამოწერას. ოთხის წლის განმავლობაში გამოუწერა ექვსსა წიგნამდე. ამ გატაცების დროს ბანკირმა თავის პატიმრისაგან, სხვათა შორის, მიიღო ამნაირი წერილი: «ვირფუასო ჩემო ჯალათო! ამ წერილს ექმს ენაზედ გწერ. უჩვენე მცოდნე კაცებს, წიაკითხონ და, თუ რომ არც ერთი შეცდომა არ ჰპოვეს, გეკვდრებით, უბრძანეთ, ბაღში თოფი გაისროლონ. ეს თოფის ხმა მიცნეს, რომ მოქმად არ ჩაუვლია ჩემს მეცადინეობას. ყველა საუკუნოების და ქვეყნის ენციოსნი სხვა და სხვა ენებზედ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველა მათგანში კი ერთი და იგივე აღი ჰღეოდა. ოჰ, ნეტავ იცოდეთ, რა არა ქვეყნიერ ბედნიერებას გრძნობს ეხლა ჩემი გული, რომ მე შემიძლიან მათი ნაწარმოები წავიკითხო და გავიგო».

პატიმრის სურვილი შესრულეს. ბანკირმა უბრძანა ორჯელ დაეცალთ თოფი ბაღში.

მეათე წლის შემდეგ იურისტი იყდა გაუნძრეველად მაგიდასთან და მხოლოდ სახარებას კითხულობდა. ბანკირს ეუცხოვებოდა, რომ კაცმა, რომელმაც ოთხის წლის განმავლობაში შეითვისა და „შეისწავლა ექვსსა ტომი სამეცნიერო წიგნებისა, თითქმის ერთი წელიწადი დაჭკარგა პატარა და ადვილის გასაგების წიგნის კითხვაზედ. სახარებას მოჰყვა სჯულისა და ღვთის-მეტყველების ისტორია.

უკანასკნელ ორ წელიწადს პატიმარი ძალიან ბევრს კითხულობდა განურჩევლად: ხან ბუნების-მეტყველებიდგან, ხან თხოულობდა ბაირონს ან შექსპირს. ზოგ ბარათში თხოულობდა გაგგზავნათ იმისთვის ერთსა და იმავე დროს ქიმიაც, საეკმო წიგნიც, რომანიც და ძმიმე საკითხი თხზულება ფილოსოფიიდგან ანუ ღვთის-მეტყველებიდგან. ისეთი დაუდგრომლობა ეტყობოდა, თითქო ზღვაზედ დასცურავს დამტვრეულ გემის ნატეხებზედ და დაღუპვას რომ გადარჩენილიყო,

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲡᲐᲜᲐᲫᲚᲔᲝ

(მოთხრობა ს. ჩეხოვისა)

I

შემოდგომის ბნელი ღამე იყო. მოხუცი ბანკირი თავის სამუშაო ოთახში მოლთასა სცემდა და მოიგონა ამ თხუთმეტის წლის წინად გამართული მეჯლისი. შემოდგომა იყო, ბევრი განვითარებული და ჭკვიანი სტუმრები ჰყავდა, რომლებიც მაღალ საგნებზე მუსაიფობდნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა სიკვდილით დასჯაზედ. მომეტებული ნაწილი სტუმრებისა, და მათ შორის ჟურნალისტებიც, წინააღმდეგნი იყვნენ ამ სასტიკ დასჯისა და ამტკიცებდნენ, რომ ეგ ძველის დროის ველური ზნეობის ნაშთია და ეხლანდელ ქრისტეანულ სახელმწიფოებში მისი ხსენებაც არ უნდა იყოსო; ეგ სასტიკი ღონისძიება უნდა სხვა საჯესელით შეიცვალოსო, მაგალითად, ხანგრძლივ დაპატიმრებით განმარტოებულად.

— მე თქვენ ვერ დაგთახმდებით, სთქვა მასპინძელმა ბანკირმა.

— მე არც სიკვდილით დასჯა და არც სამუდამო დამწყვდევა არ გამომიცდია, მაგრამ, თუ შეიძლება ,კაცმა გონებით განსაჯოს და წარმოიდგინოს, ჩემის აზრით, სიკვდილით დასჯა უფრო ზნეობრივი და ჰუმანურია დამწყვდევებზედ. თავის კვეთა ერთბაშად ჰკლავს კაცსა, სამუდამოთ დამწყვდევა კი ნელ-ნელა. რომელი ჯალათი უფრო ადამიანურად იქცევა? ის, რომელიც ერთს წუთში გკლავთ, თუ ის, რომელიც სიცოცხლეს გწოვთ მრავალი წელთა განმავლობაში.

— როგორც ერთი, ისე მეორე ერთნაირად უზნეოა,—შენიშნა ერთმა სტუმართაგანმა,—იმიტომ რომ ერთი და იგივე აზრი და სურვილი აქვთ: მოუსპონ კაცს სიცოცხლე. სახელმწიფო ღმერთი არ არის, მას ნება არა აქვს წაართვას ის, რის დაბრუნებაც არ შეუძლიან, ბევრიც რომ უნდოდეს.

სტუმართა შორის იყო ერთი იურისტი, ახალგაზდა, ოცდა ხუთის წლის კაცი. იმასაც სთხოვეს თავის აზრი გამოეთქვა.

— სიკვდილით დასჯაცა და სამუდამო დამწყვდევეც ორთავენი უზნეობაა. მაგრამ მე თუ ამარჩევენეს სიკვდილით დასჯა და სამუდამოდ დამწყვდევა, რასაკვირველია მეორეს ვირჩევდი: როგორმე სიცოცხლე მაინც სჯობს სულ არარაობას.

ასტყდა გაცხარებული სჯა. ბანკირი, რომელიც მაშინ უფრო ყმაწვილი და ფიცხი იყო, ეცადა გაცხარდა, დაჭკა მუშტი მაგიდას და დაუყვირა ახალგაზდა იურისტს:

— ტყუილია! ორ მილიონზედ დაგნაძლევებით, რომ ხუთ წელიწადსაც ვერ გასძლებთ სპპარობილეში.

— თუ მაგას მართლა ამბობთ, უპასუხა იურისტმა, გენაძლევებით, რომ ხუთს კი არა თხუთმეტს წელიწადს გავძლებ.

— თხუთმეტს? მოდის!—შეჰყვირა ბანკირმა.—ყმაწვილებო, ვდებ ორ მილიონს.

— თანახმა ვარ! თქვენ სდებთ მილიონებს, მე ჩემს თავისუფლებას,—უთხრა იურისტმა.

დაიდო ეს ველური და უაზრო სანაძლეო. განკვიფრებული და ქარაფშუტა ბანკირი, რომელმაც მაშინ არც კი იცოდა, რამდენ მილიონს პატრონი იყო, აღტაცებული იყო ამ სანაძლეოთი. ვახშამზედ ეხუმრებოდა იურისტს და ეუბნებოდა:

— გონს მოდით, ყმაწვილო კაცო, სანამ გვიან არ არის. ჩემთვის ორი მილიონი უბრალოა! თქვენ კი უნდა დაჰკარგოთ სამი-ოთხი უკეთესი წელიწადი თქვენს სიცოცხლისა. სამსა და ოთხს იმიტომ ვამბობ, რომ მეტს თქვენ ვერ შესძლებთ. ამასაც ნუ დაივიწყებთ, საცოდაო, რომ ნება-ყოფლობით დამწყვდევეა უფრო მძიმეა სავალდებულოზედ: ის ფიქრი, რომ ყოველ წუთს თქვენ ნება გაქვთ განთავისუფლდეთ, მოგიწამლავთ სიცოცხლეს საპყრობილეში. მეცოდებით!..

ეხლა ბანკირი ბოლთასა სცემდა და ეკითხებოდა თავის თავს: რისთვის იყო საჭირო ეს სანაძლეო! რა საჭიროებაა, რომ იურისტმა დაჰკარგა თხუთმეტის წლის სიცოცხლე და მე უნდა გადავუყარო ორი მილიონი! განა შეიძლება ამან დაუმტკიცოს კაცობრიობას სიკვდილით დასჯა სამუდამო დამწყვდევეზედ უარესია, თუ უკეთესი? არა და არა! სისულელეა და უაზრობა! ჩემის მხრივ ეგ იყო მხოლოდ ნებიერობა მაძღარ კაცისა, იურისტის მხრივ—უბრალო სიხარბე... გაახსენდა ყოველივე, რაც მოხდა აღწერილის მეჯლისის შემდეგ. გადასწყვეტეს იურისტს აესრულებინა თავისი სასჯელი სასტიკის ზედამხედველობის ქვეშ, ბანკირის ერთს ფლიგელში, რომელიც ბაღში იყო აშენებული. შეთანხმდნენ, თხუთმეტის წლის განმავლობაში იურისტს ნება არა ჰქონდეს ფლიგელის კარს გადასცდეს, არ დაინახოს სულიერი ადამიანი, კაცის ხმა არ გაგიგონოს, არ მიიღოს წერილები და გაზეთები. ნება მისცეს ჰქონოდა დასაკრავი, წიგნები, ეწერა წერილები, ღვინო ესვა და თამბაქო ეწია. შეეძლო ცა დაეხახა, მხოლოდ პატარა ფანჯრიდამ, რომელიც განგებ ამისათვის გააკეთეს. ყველა, რაც დასჭირდებოდა: წიგნები, ნოტები და სხვა, რამდენიც ნებავდა, შეეძლო მიეღო ბარათით, ხმა ამოუღებლივ. ყოველსავე ფანჯრიდამ მიაწოდებდნენ. პირობაში დაწერილებით იყო მოხსენებული ყოველივე წვრილმანი. იურისტმა იკისრა მჯდარიყო განმარტოებით სრული ოხუთმეტი წელიწადი: 1870 წლ. 14 ნოემბრის 12 საათიდგან 1885 წლ. 14 ნოემბრამდე, 12 საათამდეგე.

მცირეოდენი დარღვევა პირობისა, ორის წუთით ადრე რომ მოენდომებინა იურისტს საპყრობილეიდგან გამოსვლა, ბანკირს ანთავისუფლებდა სანაძლეოს გადახდისაგან და შეეძლო მილიონები აღარ მიეცა.

პირველ წელიწადს, როგორც მოკლე ბარათებიდამ სჩანდა, იურისტი ძალიან იტანჯებოდა მარტოობით და მოწყენით. იმის ოთახიდამ ზედამ დღე და ღამ ისმოდა როიალის ხმა. ღვინოზედ და თამბაქოზედ უარი სთქვა. ღვინო,—სწერდა ის,— აღძრავს სურვილებს და სურვილები კი უპირველესი მტერია პატიმრისა. ამასთანავე, არა არის რა იმაზედ მოსაწყენი, როცა კარგს ღვინოსა სვამ და კი ვერავის ჰხედავ. თამბაქო კი ოთახში ჰაერს აფუჭებს.

პირველ წელიწადს იურისტი მხუბუქ შინაარსის წიგნებს კითხულობდა: რომანს, მეტადრე თუ სიყვარულის კვანძები გადახლართული იყო, სისხლის სამართლისა და სოცნებო ამბებს, კომედიებს და სხვა ამ ნაირს.

მეორე წლიდგან მუსიკის ხმა მი სწყდა ფლიგელში და იურისტი თხოულობდა თავის ბარათებში მხოლოდ კლასიკებს.

მეხუთე წელიწადს ხელ-ახლად გაისმა მუსიკა და პატიმარმა მოითხოვა ღვინო. მეთვალყურეები, რომლებიც ფანჯრიდგან უყურებდნენ, ამბობდნენ, რომ სრული წელიწადი ის მხოლოდ სჭამდა, სვამდა იწვა ლოგინზედ, ხშირად ამთქნარებდა, გაჯავრებული ელაპარაკებოდა თავის თავს, წიგნებს არ კითხულობდა. ხანდის ხან ღამე დაჯდებოდა სწერად, დიდხანს სწერდა და დილით ადრე თავის ნაწერს ჰხედავ ნაკუწ-ნაკუწად. არა ერთხელ გაუგონიათ მისი ტირილი.

ექვსი წლის მეორე ნახევრიდამ პატიმარი შეუდგა ენების გულ-მოგდინდგ შესწავლას, აგრეთვე ფილოსოფიისა და ისტორიის. ისე ხარბად დაეწაფა მეცნიერებას, რომ ბანკირი ძლივს ასწრებდა მისთვის წიგნების გამოწერას. ოთხის წლის განმავლობაში გამოუწერა ექვსსა წიგნამდე. ამ გატაცების დროს ბანკირმა თავის პატიმრისაგან, სხვათა შორის, მიიღო ამნაირი წერილი: «ვირფუასო ჩემო ჯალათო! ამ წერილს ექმს ენაზედ გწერ. უჩვენე მცოდნე კაცებს, წიაკითხონ და, თუ რომ არც ერთი შეცდომა არ ჰპოვეს, გეკვდრებით, უბრძანეთ, ბაღში თოფი გაისროლონ. ეს თოფის ხმა მიცნეს, რომ მოქმად არ ჩაუვლია ჩემს მეცადინეობას. ყველა საუკუნოების და ქვეყნის ენციოსნი სხვა და სხვა ენებზედ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყველა მათგანში კი ერთი და იგივე აღი ჰღეოდა. ოჰ, ნეტავ იცოდეთ, რა არა ქვეყნიერ ბედნიერებას გრძნობს ეხლა ჩემი გული, რომ მე შემიძლიან მათი ნაწარმოები წავიკითხო და გავიგო».

პატიმრის სურვილი შესრულეს. ბანკირმა უბრძანა ორჯელ დაეცალთ თოფი ბაღში.

მეათე წლის შემდეგ იურისტი იჯდა გაუნძრეველად მაგიდასთან და მხოლოდ სახარებას კითხულობდა. ბანკირს ეუცხოვებოდა, რომ კაცმა, რომელმაც ოთხის წლის განმავლობაში შეითვისა და „შეისწავლა ექვსსა ტომი სამეცნიერო წიგნებისა, თითქმის ერთი წელიწადი დაჭკარგა პატარა და ადვილის გასაგების წიგნის კითხვაზედ. სახარებას მოჰყვა სჯულისა და ღვთის-მეტყველების ისტორია.

უკანასკნელ ორ წელიწადს პატიმარი ძალიან ბევრს კითხულობდა განურჩევლად: ხან ბუნების-მეტყველებიდგან, ხან თხოულობდა ბაირონს ან შექსპირს. ზოგ ბარათში თხოულობდა გაგგზავნათ იმისთვის ერთსა და იმავე დროს ქიმიაც, საეკმო წიგნიც, რომანიც და ძმიმე საკითხი თხზულება ფილოსოფიიდგან ანუ ღვთის-მეტყველებიდგან. ისეთი დაუდგრომლობა ეტყობოდა, თითქო ზღვაზედ დასცურავს დამტვრეულ გემის ნატეხებზედ და დაღუპვას რომ გადარჩენილიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარებოდა მათ განახლებას. რამდენსამე კომისიაში, რომელსაც ეს საქმე ებარა, იყო წევრად და ყველგან მხნედ აკეთებდა საქმესა.

ყველზედ მეტი სამსახური მიუძღვის გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინაშე, რომლის წინამძღოლადაც თორმეტ წელიწად იყო. იმისი სახლის კარი ყოველთვის დია იყო და ᲘᲕᲘᲠᲝᲜᲐ დღე იქნებოდა, რომ რამდენიმე დარიბი თავად-აზნაური მასთან არ მისულიყო სხვა-სხვა საქიროებისათვის. განსვენებულიც, რითაც და როგორც შეეძლო, ყველას ეწყობოდა, ყველ მოწონავე აზრს თანაუგრძნობდა და მათდა განსახორციელებლად იწვევდა ხოლმე მოწონავე ყმაწვილ კაცებს და მათის დახმარებით სცდილობდა ამ აზრების განსახორციელებას, როგორც სამაზრო თავად-აზნაურობის კრებაზედ, ისე ცხოვრებაში. მრავალ სადავო და აწეწილ საქმეებში ირჩევდნენ შუაკაცად. ბევრი საქმე მშვიდობით გაუთავებია, ბევრი მოპირდაპირე მოურიგებია და ძმობა და სიყვარული ჩამოუგდია.

ნარკვევი

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲓᲐᲜ)

«პრავდას» ივნისის წიგნში ბ-ნ ბერლინის ვრცელი და მშვენიერი წერილია დაბეჭდილი მსოფლიო და ეროვნულ მეურნეობის შესახებ.

დამწერი ჯერ იმას არკვევს, თუ როგორნაირ იმატა შრომის ნაყოფიერებამ მით რომ ხელით საქმის კეთების მაგიერ, მაშინით საქმის კეთება იქმნა შემოღებული.

ᲓᲦᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐ სოფლურ მანქანა ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘ 2,500 ᲗᲝᲗᲘᲡᲢᲐᲠᲘ. ᲯᲐᲠ ᲘᲡᲔᲗᲘ 30-ᲘᲜ ᲬᲚᲘᲡᲨᲘ ᲗᲘᲗᲘ ᲗᲝᲗᲘᲡᲢᲐᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲣᲨᲘ 4,200-ᲯᲐᲠ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲮᲚᲐ-ᲙᲘ 11,000-ᲯᲐᲠ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗ ᲛᲣᲨ.-ᲙᲘᲗ ᲨᲣᲛᲓᲘᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲥᲘᲜᲐᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲐᲠᲔᲑᲘᲗ 3,500 ᲙᲘᲗᲘ.

მოელის ქვეყნიერობის ორთქლის მანქანების ძალა ᲣᲠᲔᲡᲘ ᲐᲮᲚᲐ 60—80 მილიონ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ. ᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ 12 ᲙᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲣᲠᲔᲡᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲓᲐᲛ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐ ᲡᲐᲨᲣᲭᲘᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲛ ᲨᲔᲫᲚᲝᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 720 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲝᲜᲔ!

ᲔᲡ ᲪᲝᲜᲐᲠᲘᲗᲐ ᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲛᲪᲐᲒᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲔᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲝᲜᲔ-ᲛᲐᲠᲢᲝᲜ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ

პირ. შემდეგი ბრძოლისა ჯერ არ არის ცნობილი.

ᲜᲘᲣ-ᲩᲣᲐᲜ. გუშინდელს აქეთ იაპონელები წინ აღარ მიდიან. იაპონელთა პირველი და მეორე ლაშქარს ისეთი ადგილები უპირავთ, რომ აშკარადება იმათი განზრახვა: იაპონელებს უნდათ მოუარონ და მუკდენთან გზა მოუჭრან რუსის ჯარს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. იმათ ოჯახების სასარგებლოდ, რომელნიც სათადარიგოდ იყვნენ ჩარიცხულნი და ეხლა ჯარში გიწვევენ, საგუბერნიო ერობამ, 25,000 მანეთს გარდა, გადასდო 150,000.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (რეიტ. საგ.). ინგლისის მთავრობამ ნება დართო, რომ კრიუგერი ტრანსვალში დასაფლავონ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲚᲘ. საქმის ვითარება მაკედონიაში რეფორმების შემოღების გამო უკეთესდება.

ᲛᲘᲜᲡᲚᲘ. «სვ.-ზას. კრაი» იუწყება, რომ ბოლოგოე უნდა შეეურთონ პოლესის რკინის გზების სეფდეკის სადგურსაო. ამ ახალ გზას სახელად ალექსანდროვსკის რკინის გზა დაერქმეგა.

ᲙᲘᲔᲕᲘ. საძირკველი ჩაჰყარეს წითელ ჯვრის გამგეობის სახლისა. შენობა დაჯდება 30,000 მანეთად. სახლი შენდება ლაზარე და ლეგ ბრიდსკების ფულით.

4 ივლისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე მობრძანდნენ პეტერბურგს.—დეკემბ. გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბს 3 ივლისი: 2 ივლისს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა უკან დაუწევინა იაპონელებს იმ ადგილიდან, რომელიც სოფელ ხუანშანშანში არის, ზღვის პირის გზაზე, გაიკოლუდან ინკოუსაკენ. ღამემ 3 ივლისს მშვიდობით გაიარა. 2 ივლისს დიდი ზეერვა მოვახდინეთ სოფელ მუგუისკენ, 14 ვერსზე ტანჩიდან. სიახოტენთან იაპონელთა ორი როტა ნახეს, რომლებიც ხუანტუნლინისაკენ წავიდნენ. 4 ვერსზე სიახოტენიდან მცირე რაზმი ნახეს მტრისა. სოფელ ხუპეიუსთან მოუმზადებია პოზიციები ოროლის ბატალიონისათვის ოთხის ანუ ექვსის ზარბაზნითა. ამ დროს სოფლიში დაიჭრა ხორუნეი სმირნოვი და სამი ყაზახი, ყველანი მსუბუქად. პან'შიფუქის მიდამოებში მტრის ბევრი მზვერავები აღმოაჩინეს. აღმოსავლეთად სოფელ სინგუმდე, 16 ვერსზე ხიბუჩენიდან, იაპონელნი არ გვინახავს. გენერალი მოშენკო ამოწმებს შესანიშნავ გამჭრიახობას ვოისკოვი სტარშინის ბოჩკოვისას და ესაულის თავადის ყარაგეორგიევისას, რომელნიც უფროსობდნენ მოწინავე ასეულებს დალინისაკენ. 2 ივლისს მტრის ორმა როტამ, სოლოს შემდეგ, აიღო პჩანლინის გადასავალი და წინ წამოსწია თავისი სადგომები. ჯაუშები მოხსენებით, სუნტაძთან, 15 ვერზე იოკაუშინიდან, ღამე 4—5 ათასამდე, იაპონელნი 10 თუ 15 სამოთ ზარბაზნით და მეოთხე ცხენოსანთა რაზმი თავს იყრის ხოლმეო. დილით კი მომეტებული ნაწილი იმათი ზარბაზნებით მთებში მიდიან, როგორც ამბობენ ჯაუშები, დალინის გადასავალთან 3 ათასამდე იაპონელი და აქეთ პატარა სასურსათო საწყობი; ვანძიაპუთან—4 ათასამდე და აგრეთვე სასურსათო საწყობი. ფინშუინელინისა და მადულთან გადასავალ შუა მდებარე ადგილს ამაგრებენ. მიდამო სიოსირიდგან სიგულინის გადასავალამდე არ უპირავს მტერსა. თვით გარდასავალი სიგოულინი კი მტერს უპირავს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. «არიოლის» გადასაკეთებლად მუშაობა კვალად სწარმოებს. გემზედ ხის იაქათალები გაკეთეს, რომლის აღებაც ომის შემდეგ ძალიან ადვილია.

ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘ. (საკუთ. კორეპს.). თავრიზში აღარც ერთი შემთხვევა არა ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა. გზეთებში დაბეჭდილი ამბავი ტყუილია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (ოპოზიციის ცნობებით). საქმის მცოდნენი უარს ჰყოფენ «ალგემეინე ცეიტუნგში» დაბეჭდილს ამბავს, ვითომ ბულგარიის ნახევარ კუნძულს ხიფათი მოელისო და შესაძლებელი არ არის, უბედურებას გადარჩეს. — — ადრიანოპოლის ვილიიტუნ ითხოვენ სათადარიგო ჯარის-კაცებსა, რომელნიც შარშან მოიწვევე. კუკოვლაბელთა მოთხოვნილებანი გამოიხატა იმ სახით, რომ მიეცეთ ნება, ჰყავდეთ წარმომადგენელი თავის საზოგადოებათა სტამბოლში, რათა პორტამ დაიცვას საზოგადოებათა და სკოლათა საქიროებანი. ამას გარდა, იმედი აქვთ, რომ პატრიარქი ზოგიერთ ეკკლესიურ წესებს შეიწყნარებსო.

ᲐᲮᲘᲐᲚᲘᲥᲔᲗᲘ. 4 ივლისს, 7 საათსა და 10 წუთს, შუადღის შემდეგ, მოჰკლეს ელისავეტპოლის ვიცე-გუბერნატორი ანდრეევი.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. (რეიტერის საგ.). ჩინეთის ელჩი ტოკიოში დეკემბრით ატყობინებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, იაპონელებმა წარმოადგინეს მანჯურიის მართვის გეგმაო.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘ. 4 ივლისს ჩქარის მატარებლით, უმაღლესის ბრძანების გამო, წასული მთავარი უფროსი ამ მხარისა, სენატორი გრაფი ქუთაისოვი, გუბერნატორმა, უფროსებმა და სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელეებმა და ქალაქის წარმომადგენელებმა ვიეზლამდე გაეცილეს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. როგორც დამატებითი ცნობა მოვიდა შანჰაიგუანიდან, საფონგეთის და იაპონიის ჯარის-კაცთა შეტაკების დროს მოუკლეს ფრანგებს სამი და 5 დაუჭრეს, იაპონელებს 7 მოუკედათ 12 დაეჭრათ.

ᲘᲐᲚᲢᲐ. დღეს სოფელ ვერხნეი აუკში უდროოდ გარდაცვალებულის მწუხარალის ჩეხოვის გარდაცვალებისა გამო პანაშვიდი გადაიხადეს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დეკემ. გენ. სახაროვისა უმთავრეს შტაბს 3 ივლისს. «გენ. ოქუს მოხსენებით ისე გამოდის, რომ ვითომ 26 ივნისს მის ჯარს გაემარჯვოს რუსთა ლაშქარზედ. ამიტომ მანჯურიის ლაშქრის შტაბი დაწერილებით მოგახსენებს ამ ამბავს, 24 ივნისს ღამე ჩვენმა მეცირე რაზმებმა დაიჭირეს ზოგიერთი გამაგრებული ადგილები. დილის 4 საათზედ მტერმა დაიწყო ზარბაზნების სროლა და აოტნა ჩვენი ჯარები. უნდა მარცხენა ფრთედისათვის შემოვლოო. მტერს ჰყავდა ოთხ დივიზიამდე. როგორც წინადვე ნაბრძანები ჰქონდა, ჩვენმა ჯარმა ნელნელა უკან დაიწია გიაჯოოდან. შემდეგ იმ რაზმებმაც დაიწიეს, რომელთაც სადგური გიაჯოუ ეჭირათ. ცოტაოდენად ცხარე ბრძოლა ჰქონდა ტ ბხოლოდ ერთს ბატალიონს.— ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა მადლობა გამოეცხადოს გუბერნატორებს მოსკოვისას, ტამბოვისას, სიმბირსკისას, უფისას იმ წესიერებისათვის, რომელიც დაცული იყო ქეჩებში, როცა მისმა უდიდებულესობამ იქ გაირა უმაღლესის აღლუმის სანახავად.

ᲗᲝᲙᲘᲝ. (რეიტ.საგ.). იაპონიის სინდიკატის სურვილს, რომ უფლება მიეცეთ ტყეების მოჭრისა და მოხმარებისათვის კორეიაში, დიდი და მეოდგარი წინააღმდეგობა გაუწია ქვეყანამ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანგარიში გაუწია ამ წინააღმდეგობას და უარ-ჰყო შუამდგომლობა იაპონელთა სინდიკატისა. მონმოპოლია ტყეების მოხსენებისა მიეცა კორეველთა საზოგადოებას, რომელიც შესდგა კორეის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფის ხელმძღვანელობით.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ. (რეიტ. საგ.). საფრანგეთის მთავრობა იმუქრება, თუ ჩინეთის მთავრობა ტონკინის საზღვრებზედ აჯანყების მოსასპობად საჭირო ღონისძიებას არ მიიღებს ჯარებს გადმოვსხამთ, ამ განცხადებამ ძლიერ აღაშფოთა ჩინეთის მოწინავე საზოგადოება.

იაპონელებმა შეიმუშავეს პროექტი, რომლითაც მანჯურია უნდა განაგოს იაპონელებმა ჩინელთა განსაზღვრულ ჯარის შემწეობით.

რუსეთის აქაურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნიუ-ჯუანი ჯერ არ აუღიათ იაპონელებსო.

ᲜᲘᲣ-ᲩᲣᲐᲜ. (რეიტ. საგ.). სამხედრო მოქმედება ჯერ ისევ შეჩერებულია. იაპონელთა ახალ მოძრაობის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. მოტენლინის ოღელტეხილთან გენერალ კუროკის ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი 2 ივლისს თარიღით იუწყება, რომ რუსებს ძლიერი საშველი ჯარი მოუვიდათო.

ᲐᲓᲔᲜᲘ. (რეიტ. საგ.). ინგლისის გემი «ვაიპარას» კაპიტანი იუწყება, რომ 2 ივლისს, ჯგენელ-სუკურის მაღლობზედ, რუსეთის სათარგმო გემმა «პეტერბურგმა» ზარბაზანი მესროლა და მაიძულა გავეჩერებულიყავიო. რუსებმა გასინჯეს გემის ყველა ქაღალდები, გემიც შეიპყრეს და სამხედრო დაელად დაინარნენეს. კაპიტანმა ამაზედ პროტესტი განაცხადა და შემდეგ იგი გადაიყვანეს «პეტერბურგზედ». ამ ნაირად 4 საათს გაჩერებული გემი. სათარგმო გემ «პეტერბურგზედ» გაუგია კაპიტანს, რომ გემი «მალაკკა»-ც სამხედრო დაელად უცენთია რუსებს, რადგანაც ზედ იაპონიისათვის სამხედრო იარღები და სხვა და სხვა სურსათი ყოფილო.

ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ. («რეიტ. საგ.)». დიდი ჯავშნიაა სათარგმო გემი, რომელსაც ნახშირით დატვირთული ორი სატარსპარტო გემი მიჰყვებოდა, შეუნიშნავთ მალაკკას სრუტესთან. სათარგმო გემზედ საკუთარი, დროშა იყო აღმართული და აღმოსავლეთად მიემართებოდა ჰფიქრობენ, რომ ეს გემი იაპონელებისაგან არის გამოგზავნილი წითელს ზღვაში რუსეთის ორის გემის შესაპყრობად.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ. სკუთარიის გუბერნატორს ჰაიდარ-ფაშას ნიიკოლოოზ მთავარმა უბოძადანიელ ორ 1-ლ ხარისხის ორდენი.

ᲘᲐᲚᲢᲐ. 5 ივლისს სიმფეროპოლს მოვიდა ბუხარის ემირი და ჩამოხდა თავისს საკუთარს ავარაკში ახლად აშენებულს საუცხოო სასახლეზე.

დროებით რედაქტორი **ᲒᲠ. ᲣᲘᲗᲨᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მომდინარე წლის ენკენისთვისისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის უმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში უმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისნნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალური კანტორისაგან,** ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საქიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ეაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილოებას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საქირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ უმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ეაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში უმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში უმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის აღრეკსით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყებადათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—5)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

Ლ. Ბ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲤᲨᲘ,

რომელიც იმყოფება მთის უმაღლესობის ბრანგ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲜᲐᲠᲘᲡ მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადმდებია სერითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ᲩᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔᲨᲘ ᲭᲐᲛᲐ-ᲡᲘᲗᲐ და **ᲛᲣᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐᲜᲘ 1 ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲓᲐᲜ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲔ.**

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

NARODNAYA MEDICINA

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოსტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფელ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.-ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქცეთ საფეხრიკ ნიშანს.

ᲪᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, ᲛᲠᲐᲕᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ

„ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲔᲚᲚᲔᲠ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—13).

Дозволено цензурою Тифлисъ 5 іюля 1904 г. Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи